

(არაოფიციალური თარგმანი)

სტრასბურგი, 2007 წლის 23 ნოემბერი

ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო (CCJE)

ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს დასკვნა N10 (2007)
ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტისადმი
მართლმსაჯულების საბჭოს როლის შესახებ საზოგადოების სამსახურში

წინამდებარე დასკვნა მიღებულია ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს მიერ
საბჭოს მე-8 სხდომაზე (სტრასბურგი, 2007 წლის 21-23 ნოემბერი).

სარჩევი

- I. შესავალი
- II. მთავარი მიზანი: მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა
- III. წევრობა: დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულების საბჭოს ოპტიმალური მუშაობის უზრუნველყოფა
 - III. ა. მოსამართლეთა უმრავლესობისაგან დაკომპლექტებული მართლმსაჯულების საბჭო
 - III. ბ. წევრთა კვალიფიციურობა
 - III. გ. შერჩევის მეთოდები
 - III. გ. 1. მოსამართლე წევრების შერჩევა
 - III. გ. 2. არამოსამართლე წევრების შერჩევა
 - III. გ. 3. თავმჯდომარის შერჩევა
 - III. დ. წევრების რაოდენობა და მათი უფლებამოსილების ვადა
 - III. ე. წევრთა სტატუსი
- IV. რესურსები (დაფინანსების, კადრების, ტექნიკური გამოცდილების უზრუნველსაყოფად) და მართლმსაჯულების საბჭოს ლეგიტიმური გადაწყვეტილებები
 - IV. ა. ბიუჯეტი და კადრები
 - IV. ბ. მართლმსაჯულების საბჭოს გადაწყვეტილებები
 - IV. გ. ტექნიკური გამოცდილება
- V. ფართო უფლებამოსილებები დამოუკიდებელი და ეფექტური მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად
 - V. ა. მოსამართლეთა შერჩევა, თანამდებობაზე დანიშვნა და დაწინაურება
 - V. ბ. მოსამართლეთა პროფესიული შეფასება/ატესტაცია
 - V. ბ. მოსამართლეთა ეთიკა და დისციპლინა
 - V. გ. 1. ეთიკა
 - V. გ. 2. დისციპლინა
 - V. დ. მოსამართლეთა სწავლება
 - V. დ. 1. მოსამზადებელი კურსი
 - V. დ. 2. უწყვეტი სასწავლო პროცესი
 - V. ე. სასამართლო ხელისუფლების ბიუჯეტი
 - V. ვ. სასამართლოს ადმინისტრირება და მართვა
 - V. ზ. სასამართლო ხელისუფლების რეპუტაციის დაცვა
 - V. თ. სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოებისათვის კონსულტაციების გაწევის შესაძლებლობა

V. ი. საქმიანობები სხვა ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო ორგანოებთან თანამშრომლობის კონტექსტში

VI. მართლმსაჯულების საბჭო მართლმსაჯულების ანგარიშვლადებულებისა და გამჭვირვალობის სამსახურში

რეკომენდაციები და დასკვნები

I. შესავალი

1. 2007 წელს, ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) (შემდგომში საკონსულტაციო საბჭო) დაავალა, შეემუშავებინა დასკვნა მართლმსაჯულების უმაღლესი საბჭოს ან იმ სხვა მსგავსი დამოუკიდებელი ორგანოს ორგანიზაციულ სტრუქტურასა და როლთან დაკავშირებით, რომელიც წარმოადგენს მთავარ ელემენტს სამართლებრივ სახელმწიფოში, ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს შორის ბალანსის უზრუნველყოფის მიზნით.
2. ევროპული სისტემების მრავალფეროვნება ასახულია სახელმწიფოების მიერ გაკეთებულ არჩევანში და იმ ორგანოების სახელწოდებასთან დაკავშირებით გამართულ დისკუსიებში, რომლებსაც ევალუბათ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის დაცვა. წინამდებარე დასკვნის უკეთ გასაგებად, ევროპულ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, დასკვნის ტექსტში გამოიყენება ერთიანი ტერმინი „მართლმსაჯულების საბჭო“¹.
3. თავის კომპეტენციის ფარგლებში, საკონსულტაციო საბჭომ გაითვალისწინა შემდეგი ფაქტორები, რომლებიც მოცემულია ევროპის მოსამართლეებისთვის შემუშავებულ გლობალურ ჩარჩო სამოქმედო გეგმაში²:
 - წევრ სახელმწიფოებში მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის გარანტიების დაცვა კონსტიტუციურ, საკანონმდებლო და ინსტიტუციურ დონეებზე (იხ. სამოქმედო გეგმის 1-ლი ნაწილის (ა), (ბ), (გ) და (დ) პუნქტები);
 - იმ ორგანოების შექმნა ან გაძლიერება, რომლებიც დამოუკიდებელი არიან საკანონმდებლო და/ან აღმასრულებელი ხელისუფლებისგან და მოსამართლეთა პროფესიულ განვითარებაზე ეკისრებათ პასუხისმგებლობა (იხ. სამოქმედო გეგმის 1-ლი ნაწილის (ე) პუნქტი).
4. წინამდებარე დასკვნა მიზნად ისახავს მართლმსაჯულების საბჭოს მთავარი დანიშნულების, შემადგენლობისა და ფუნქციებთან დაკავშირებით ძირითადი ელემენტების განსაზღვრას დემოკრატიის გაძლიერებისა და მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის დაცვის თვალსაზრისით. დასკვნაში არ არის წარმოდგენილი მართლმსაჯულების საბჭოს შემადგენლობისა ან ფუნქციების პრინციპების დეტალური აღწერა, და იგი არც ევროპაში მართლმსაჯულების საბჭოს ერთიანი მოდელის შექმნას ისახავს მიზნად.
5. მართლმსაჯულების საბჭოს შემადგენლობა და მისი ფუნქციები სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა³. ამ მრავალფეროვნების გათვალისწინებით და, ამავე დროს, დამოუკიდებელი მართლმსაჯულების საბჭოს შექმნის არსებული ტენდენციის მხედველობაში მიღებით, საკონსულტაციო საბჭომ აუცილებლად ჩათვალა:

¹ ეს ფორმულირება უკვე გამოყენებულია მართლმსაჯულების საბჭოების ევროპული გაერთიანების (ENCJ) მიერ.

² მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 740-ე შეხვედრაზე – დოკუმენტი CCJE(2001)24.

³ წევრ სახელმწიფოებში არსებული დეტალური სიტუაცია აღწერილია ექსპერტთა მოხსენებებში (იხ. მე-7 პუნქტი) და წევრი სახელმწიფოების მიერ შევსებულ კითხვარებში, რომელიც ხელმისაწვდომია CCJE-ის ვებგვერდზე:

- ხაზი გაესვა იმ სპეციალური ორგანოს არსებობის მნიშვნელობისათვის, რომელსაც ევალება მოსამართლეთა დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა, ხელისუფლების განაწილების პრინციპის დაცვის კონტექსტში;
 - დაედგინა რეკომენდაციები და სტანდარტები იმ წევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც სურთ მართლმსაჯულების საბჭოს დანერგვა ან მისი რეფორმირება;
6. წინამდებარე დასკვნის დებულებები აქტუალურია სასამართლო სისტემის ყველა ასპექტთან მიმართებაში, კერძოდ იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს ადმინისტრაციული იუსტიციის ცალკე სისტემა ან ერთიანი მართლმსაჯულების საბჭოს (რომლის კომპეტენციაშიც შედის საერთო და ადმინისტრაციული სასამართლოები) ფარგლებში ან ცალკეული საბჭოების ფორმით⁴.
7. დასკვნის მომზადებისას, საკონსულტაციო საბჭომ შეისწავლა და სათანადოდ გაითვალისწინა შემდეგი:
- ევროსაბჭოს და, კერძოდ, მინისტრთა კომიტეტის No R(94)12 რეკომენდაცია წევრი სახელმწიფოებისადმი, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის, ეფექტურობისა და როლის შესახებ⁵; 1998 წლის ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ; ასევე საკონსულტაციო საბჭოს დასკვნები No. 1, 2, 3, 4, 6 და 7.
 - ვენეციის კომისიის მიერ 2007 წლის მარტში მის 70-ე პლენარულ სხდომაზე მიღებული ანგარიში "მოსამართლეების დანიშვნის თაობაზე", საკონსულტაციო საბჭოს დოკუმენტის დახვეწის მიზნით⁶.
 - 40 დელეგაციისგან მიღებული პასუხები მართლმსაჯულების საბჭოსთან დაკავშირებულ კითხვარზე, რომელიც მიღებულ იქნა საკონსულტაციო საბჭოს მიერ მის მე-7 პლენარულ სხდომაზე (2006 წლის 8-10 ნოემბერი);
 - საკონსულტაციო საბჭოს სპეციალისტების, ქ-ნი მარტინა ვალდეს ბულუქეს (საფრანგეთი) მიერ მომზადებული ანგარიში ევროსაბჭოს იმ წევრ სახელმწიფოებში არსებული მდგომარეობის შესახებ, სადაც ფუნქციონირებს მართლმსაჯულების საბჭო ან სხვა მსგავსი დამოუკიდებელი ორგანო და ლორდი მოსამართლე თომასის (გაერთიანებული სამეფო) ანგარიში იმ ქვეყნებში არსებული მდგომარეობის შესახებ, სადაც ასეთი ორგანო არ არსებობს;
 - თემაზე "რომელი იუსტიციის საბჭო?" მოსამართლეთა მე-3 ევროპული კონფერენციის მონაწილეთა მოხსენებები, რომელიც მოეწყო ევროსაბჭოს ორგანიზებით მართლმსაჯულების საბჭოების ევროპული გაერთიანებასთან (ENCJ), იტალიის მართლმსაჯულების უმაღლეს საბჭოსა და იუსტიციის საბჭოსთან თანამშრომლობით

⁴ ზოგიერთი საბჭოს ფუნქციაა მოსამართლეთა დამოუკიდებლობის დაცვა, მაგრამ, ისინი ასევე, პასუხისმგებელი არიან პროკურორებზეც. საკონსულტაციო საბჭომ თავის მიმართულებად აირჩია მართლმსაჯულების საბჭოების როლის განხილვა მოსამართლეებთან მიმართებაში, მთავარი მიზნის შესაბამისად. აღნიშნული არ უშლის ხელს, რამდენადაც მოსამართლეებს შეეხება, წინამდებარე დასკვნა გავრცელდეს იმ საბჭოებზეც, რომლებიც აერთიანებენ მოსამართლეებსა და პროკურორებსაც. წინამდებარე დასკვნა არ ითვალისწინებს პროკურორებთან დაკავშირებულ შესაძლო საკითხებს. მათი შესწავლა შესაძლებელია მოგვიანებით მოხდეს, აუცილებლობის შემთხვევაში ევროპულ პროკურორთა საკონსულტაციო საბჭოსთან (CCPE) თანამშრომლობით.

⁵ კერძოდ, პრინციპი I, 2.გ. და პრინციპი VI.3.

⁶ იხ დოკუმენტი CDL-AD(2007)028

(რომი, 2007 წლის 26-27 მარტი).

II. მთავარი მიზანი: მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფა

8. მართლმსაჯულების საბჭოს მიზანია როგორც სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის, ასევე ცალკეულ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის დაცვა. დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოების არსებობა სამართლებრივი სახელმწიფოს სტრუქტურული მოთხოვნაა.
9. გლობალიზებულ და ურთიერთდამოკიდებულ საზოგადოებაში, მოსამართლეთა დამოუკიდებლობა თითოეული მოქალაქის მიერ უნდა აღიქმებოდეს როგორც სიმართლის, თავისუფლების, ადამიანის უფლებათა დაცვისა და გარეშე ზეგავლენისგან თავისუფალი მიუკერძოებელი მართლმსაჯულების გარანტიად. მოსამართლეთა დამოუკიდებლობა არის არა საკუთარი ინტერესების დასაცავად მინიჭებული პრეროგატივა ან პრივილეგია, არამედ კანონის უზენაესობისა და თითოეული იმ ადამიანის ინტერესების დასაცავად, რომელიც ეძიებს და მოელის მართლმსაჯულებას. მაშასადამე, დამოუკიდებლობა, როგორც მოსამართლეთა მიუკერძოებლობის პირობა, უზრუნველყოფს სასამართლოების წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის გარანტიას.
10. საკონსულტაციო საბჭო იმასაც ითვალისწინებს, რომ მართლმსაჯულების საბჭომ ხელი უნდა შეუწყოს სასამართლო სისტემის ეფექტურობასა და ხარისხს, რათა უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის სრულად აღსრულება და სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების ნდობის განმტკიცება. ამ კონტექსტში მართლმსაჯულების საბჭოს მოვალეობაა დანერგოს ისეთი მექანიზმები, რომლის მეშვეობითაც მოხდება სასამართლო სისტემის შეფასება, დანერგილ სერვისებზე ანგარიშგება და შესაბამის ორგანოებს ეთხოვებათ მართლმსაჯულების განხორციელების გაუმჯობესებისათვის აუცილებელი ნაბიჯების გადადგმა.
11. საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციაა, რომ მართლმსაჯულების საბჭო გაუთანაბრდეს კონსტიტუციურ დონეს იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს დაწერილი კონსტიტუცია ან ექვივალენტური ძალის მქონე ძირითადი კანონის ან კონსტიტუციური ინსტრუმენტის დონეზე სხვა ქვეყნების შემთხვევაში. უზრუნველყოფილ უნდა იქნას ასეთი ორგანოს შექმნა, მისი ფუნქციების დადგენა და იმ სფეროების განსაზღვრა, რომლის წარმომადგენლებიც უნდა იყვნენ მისი წევრები, ასევე წევრობის კრიტერიუმებისა და შერჩევის მეთოდების დადგენა⁷.
12. მართლმსაჯულებასთან მიმართებაში მისი მმართველობითი და ადმინისტრაციული როლის გარდა, მართლმსაჯულების საბჭო უნდა ახორციელებდეს სასამართლო ხელისუფლების ავტონომიურ მმართველობასაც, რაც ცალკეულ მოსამართლეებს თავიანთი ფუნქციების განხორციელების საშუალებას მისცემს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მხრიდან გაუკონტროლებლად და სასამართლო სისტემის შიგნით არასწორი ზეწოლის გარეშე.

⁷ ეს პრინციპი გაცხადებულია CCJE-ის No.1 (2001) დასკვნაში.

13. ამ თვალსაზრისით, საკონსულტაციო საბჭო თვლის, რომ არასწორი იქნებოდა ხელისუფლების სხვა შტოების მხრიდან მართლმსაჯულების საბჭოს ავტონომიის შეზღუდვა თავისი სამუშაო მეთოდებისა და განსახილველი საკითხების არჩევაში. აუცილებელია განისაზღვროს ურთიერთობები მართლმსაჯულების საბჭოსა და იუსტიციის სამინისტროს, სახლემწიფოს მეთაურსა და პარლამენტს შორის. გარდა ამისა, ვინაიდან მართლმსაჯულების საბჭო არ შედის სასამართლო სისტემის სტრუქტურაში და ვერ იღებს გადაწყვეტილებებს საქმის არსებითი განხილვის შესახებ, სასამართლოებთან და, განსაკუთრებით მოსამართლეებთან, ურთიერთობები საჭიროებს ყურადღებით დარეგულირებას.
14. ამასთანავე, მართლმსაჯულების საბჭო ვალდებულია პოლიტიკური, იდეოლოგიური ან კულტურული ხასიათის ნებისმიერი გარეშე ზეწოლისა ან ზიანისგან დაიცვას მოსამართლეების შეუზღუდავი თავისუფლება, საქმის მიუკერძოებლად განხილვის მიზნით, მათი სინდისისა და ფაქტების მათეული ინტერპრეტაციის შესაბამისად და ასევე კანონით დადგენილი წესების შესაბამისად.⁸

<p>III. წევრობა: დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულების საბჭოს ოპტიმალური მუშაობის უზუნველყოფა</p>

III. ა. მოსამართლეთა უმრავლესობისაგან დაკომპლექტებული მართლმსაჯულების საბჭო

15. მართლმსაჯულების საბჭოს შემადგენლობა ისეთი უნდა იყოს, რომ უზრუნველყოფდეს მის დამოუკიდებლობასა და ხელს უწყობდეს თავისი ფუნქციების ეფექტურად შესრულებას.
16. მართლმსაჯულების საბჭოს შემადგენლობა შეიძლება იყოს მთლიანად მოსამართლეებისგან დაკომპლექტებული ან შერეული, ანუ მოსამართლე და არამოსამართლე წევრებით დაკომპლექტებული. არც ერთ შემთხვევაში არ უნდა შეიქნას შეხედულება თვითინტერესის, თვიდაცვისა და ნეპოტიზმის არსებობის შესახებ.
17. თუ მართლმსაჯულების საბჭოს შემადგენლობა დაკომპლექტებულია მთლიანად მოსამართლეებისგან, საკონსულტაციო საბჭოს მოსაზრებით, ასეთ მოსამართლეებს უნდა ირჩევდნენ მათი კოლეგები.
18. თუ მართლმსაჯულების საბჭო შერეული შემადგენლობისაა (მოსამართლე და არამოსამართლე წევრებით დაკომპლექტებული), საკონსულტაციო საბჭო თვლის, რომ, ნებისმიერი მანიპულაციისა ან არასწორი ზეწოლის თავიდან აცილების მიზნით, წევრთა მნიშვნელოვან უმრავლესობას უნდა წარმოადგენდნენ კოლეგების მიერ არჩეული⁹.

⁸ იხ რეკომენდაცია No.R(94)12.

⁹ CCJE-მ არ გაითვალისწინა მოსამართლეებისა და პროკურორებისაგან შემდგარი მართლმსაჯულების საბჭოს შესაძლებლობის საკითხი - იხ. ასევე ზემოთ მე-4 სქოლიო.

19. საკონსულტაციო საბჭოს აზრით, ასეთი შერეული ტიპის შემადგენლობის უპირატესობაა ის, რომ უზრუნველყოფს თვითინტერესის, თვითდაცვისა და ნეპოტიზმის არსებობის შესახებ შეხედულების შექმნის თავიდან აცილებას და საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა აზრის ასახვას და, აქედან გამომდინარე, ლეგიტიმურობის დამატებითი წყაროს სთავაზობს სასამართლოს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შერეული შემადგენლობის შემთხვევაშიც, მართლმსაჯულების საბჭოს მუშაობაში კატეგორიულად დაუშვებელია საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან ზემოქმედებისა ან აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან ზეწოლის შესაძლებლობა და რომელიმე პოლიტიკური პარტიის პოზიციის გაზიარება, რათა გარანტირებულ იქნას მართლმსაჯულების ღირებულებები და ფუნდამენტური პრინციპები.
20. მართლმსაჯულების საბჭოს შერეული შემადგენლობის საკითხისადმი საკონსულტაციო საბჭოს დამოკიდებულებაა, რომ მისი ზოგიერთი საქმიანობა შესაძლებელია გადაეცეს იმ მართლმსაჯულების საბჭოს, რომელიც საქმეებს იხილავს მთლიანად მოსამართლეებისაგან დაკომპლექტებულ პალატაში.

III.ბ. წევრთა კვალიფიციურობა

21. მოსამართლე თუ არამოსამართლე წევრების შერჩევა უნდა მოხდეს მათი კომპეტენტურობის, გამოცდილების, მსჯელობის უნარის, სასამართლო ცხოვრებისა და დამოუკიდებლობის კულტურის შესახებ ცოდინის საფუძველზე.
22. არამოსამართლე წევრები შეიძლება შეირჩეს სხვა ცნობილი იურისტების, უნივერსიტეტის პროფესორების რიგებიდან, რომელთაც აქვთ პროფესიული მუშაობის კონკრეტული სტაჟი, ან აღიარებული ავტორიტეტის მქონე მოქალაქეებისგან. სასამართლო სისტემის თანამედროვე მმართველობის სისტემა შეიძლება საჭიროებდეს ისეთი წევრების მონაწილეობას, რომლებსაც აქვთ გამოცდილება იურისპრუდენციის სფეროს გარდა სხვა სფეროშიც (მაგ. მენეჯმენტი, ფინანსები, საინფორმაციო ტექნოლოგიები, სოციალური მეცნიერებები).
23. მართლმსაჯულების საბჭოს პოტენციური, მოსამართლე თუ არამოსამართლე, წევრები არ უნდა იყვნენ აქტიური პოლიტიკოსები, პარლამენტის, აღმასრულებელი ხელისუფლებისა ან ადმინისტრაციის წევრები. ანუ, არც სახელმწიფოს მეთაური, თუ იგი მეთაურობს მთავრობას და არც ერთი მინისტრი არ შეიძლება იყოს მართლმსაჯულების საბჭოს წევრი. ამ მიმართულებით თითოეულმა სახელმწიფომ თავისი საკუთარი სამართლებრივი წესები უნდა შეიმუშაოს.
24. საკონსულტაციო საბჭო თვლის, რომ მართლმსაჯულების საბჭოს შემადგენლობაში მაქსიმალურად უნდა აისახოს საზოგადოებაში არსებული აზრთა სხვადასხვაობა.

III.გ. შერჩევის მეთოდები

- III. გ. 1. მოსამართლე წევრების შერჩევა

25. მოსამართლეთა შერჩევასა და პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებელი ორგანოს დამოუკიდებლობის გარანტირების მიზნით, საჭიროა მიღებულ იქნას ისეთი წესები, რომელიც უზრუნველყოფს მოსამართლე წევრების შერჩევას სასამართლოს მიერ.
26. შერჩევა შეიძლება მოხდეს არჩევნების ან, ზოგიერთი წევრის შემთხვევაში (როგორცაა უზენაესი სასამართლოს ან სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეები) *ex officio* (თანამდებობრივი მოვალეობიდან გამომდინარე) პრინციპით.
27. კონკრეტული საარჩევნო მეთოდის დადგენის გარეშე, საკონსულტაციო საბჭოს რჩევაა, რომ მართლმსაჯულების საბჭოში შემავალი მოსამართლეები არჩეულ იქნენ მათი კოლეგების მიერ ისეთი მეთოდების გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლო სისტემის მაქსიმალურად ფართო წარმომადგენლობას ყველა¹⁰.
28. მართალია მოსამართლეთა პროფესიული გაერთიანებებისა და მართლმსაჯულების საბჭოს როლები და ფუნქციები განსხვავებულია, სწორედ სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობა ამყარებს ორივე მათგანის ინტერესებს. ზოგჯერ პროფესიული გაერთიანებები უფრო უკეთეს მდგომარეობაში არიან, როდესაც საქმე სასამართლო პოლიტიკის თაობაზე დისკუსიებში მონაწილეობას ეხება. თუმცა, ბევრ სახელმწიფოში მოსამართლეთა დიდი უმრავლესობა არ არიან გაერთიანებების წევრები. ორივე კატეგორიის (გაერთიანების წევრი თუ არაწევრი) მოსამართლეთა მონაწილეობა პლურალისტური ტიპის მართლმსაჯულების საბჭოში უფრო უკეთ უზრუნველყოფს სასამართლოების მაქსიმალურად ფართო წარმომადგენლობას. აქედან გამომდინარე, მოსამართლეთა გაერთიანებებს უნდა შეეძლოთ არჩევნებში მოსამართლე კანდიდატების (ან, მინიმუმ კანდიდატთა სიის) წარდგენა და იგივე საშუალება უნდა მიეცეთ იმ მოსამართლეებსაც, რომლებიც არ არიან ასეთი გაერთიანებების წევრები. აღნიშნული მექანიზმების მქონე შესაბამისი საარჩევნო სისტემის შემუშავება თითოეულ სახელმწიფოზე დამოკიდებულია.
29. იმისათვის, რომ გამართლდეს მოქალაქეთა მოლოდინი "დეპოლიტიზებული" მართლმსაჯულების საბჭოს არსებობის შესახებ, საკონსულტაციო საბჭო იზიარებს მოსაზრებას იმისა თაობაზე, რომ არჩევნების დროს მიმდინარე კონკურსი უნდა იცავდეს თვითონ მართლმსაჯულების საბჭოს მიერ დადგენილ წესებს, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების ნდობის ხელშემშლელი ნებისმიერი საფრთხე.
30. საკონსულტაციო საბჭო არ ეწინააღმდეგება პირდაპირი არჩევნების მეთოდის გარდა სახელმწიფოების მიერ სხვა მეთოდების შემუშავებას, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლო ხელისუფლების მაქსიმალურად ფართო წარმომადგენლობას მართლმსაჯულების საბჭოში. ისეთი მეთოდის შემუშავებისას, რომელიც უზრუნველყოფს სხვადასხვაობისა და ტერიტორიულ წარმომადგენლობას, შესაძლებელია სასამართლო პალატების შექმნისას ზოგიერთი ქვეყნის მიერ აპრობირებული გამოცდილების გაზიარება. ანუ, კენჭისყრის მეთოდით წევრების არჩევა

¹⁰ იხ. ასევე ევროპული ქარტია მოსამართლეთა სტატუსის შესახებ, პუნქტი 1.3.

ერთი ან მეტი ტერიტორიული სიდიდან, რომელშიც შედიან ის შესაფერისი კანდიდატები, რომლებმაც მიიღეს თავიანთი კოლეგებისგან საკმარისი რაოდენობის ხმა.

31. საკონსულტაციო საბჭოსთვის მიუღებელია ისეთი სისტემები, რომელიც შერჩევის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე უშვებს ისეთი პოლიტიკური ორგანოების ჩარევას, როგორცაა პარლამენტი ან აღმასრულებელი ხელისუფლება. თავიდან უნდა იქნას აცილებული აღნიშნულ პროცესში სასამართლო სტრუქტურების ჩარევა. უნდა გამოირიცხოს სასამართლო ხელისუფლების შიგნით ან მის გარეთ არსებული ორგანოების მიერ წევრების ნებისმიერი ფორმით დანიშვნა.

III. გ. 2. არამოსამართლე წევრების შერჩევა

32. არ შეიძლება არამოსამართლე წევრების არჩევა აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ. მართალია, თითოეულმა სახელმწიფომ თვითონ უნდა უზრუნველყოს ურთიერთსაწინააღმდეგო საჭიროებების დაბალანსება, მაგრამ საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციაა, ისეთი სისტემის შექმნა, რომელიც არამოსამართლე წევრების დანიშვნას დაავალებს არაპოლიტიკურ ორგანოებს. თუ რომელიმე სახელმწიფოში, რომელიმე არამოსამართლე წევრს აირჩევს პარლამენტი, ისინი არ უნდა იყვნენ პარლამენტის წევრები, მათ უნდა ირჩევდეს ის კვალიფიციური უმრავლესობა, რომელსაც ოპოზიციის მნიშვნლოვანი მხარდაჭერა სჭირდება, და იყვნენ ისეთი პირები, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ მართლმსაჯულების საბჭოს მთლიან შემადგენლობაში სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლობა.

III. გ. 3. თავმჯდომარის შერჩევა

33. აუცილებელია, რომ მართლმსაჯულების საბჭოს თავმჯდომარის პოსტი ეკავოს მიუკერძოებელ პირს, რომელიც არ მიეკუთვნება არც ერთ პოლიტიკურ პარტიას. ამასთან, მმართველობის საპარლამენტო სისტემებში, სადაც პრეზიდენტის / სახელმწიფოს მეთაურის უფლებამოსილება მხოლოდ ფორმალურია, არ იკრძალება მართლმსაჯულების საბჭოს თავმჯდომარედ სახელმწიფოს მეთაურის დანიშვნა, ხოლო ყველა სხვა მმართველობის სისტემაში თავმჯდომარეს უნდა ირჩევდეს თვითონ მართლმსაჯულების საბჭო და იგი უნდა იყოს მოსამართლე.

III. დ. წევრების რაოდენობა და მათი უფლებამოსილების ვადა

34. საკონსულტაციო საბჭოს მოსაზრებით, მართლმსაჯულების საბჭოს შემადგენლობაში უნდა აისახებოდეს სასამართლო სისტემის სიდიდე და, აქედან გამომდინარე, შესასრულებელი ფუნქციების მოცულობა. მართალია, თითოეული სახელმწიფო თვითონ წყვეტს მართლმსაჯულების საბჭოს წევრების სრულ თუ არასრულ სამუშაო განაკვეთზე დასაქმებას, საკონსულტაციო საბჭო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სრული სამუშაო განაკვეთით ნიშნავს უფრო ეფექტურ მუშაობას და დამოუკიდებლობის უკეთეს გარანტიას. ამასთან, აუცილებელია იმის უზრუნველყოფაც, რომ მართლმსაჯულების საბჭოში შემავალი მოსამართლეები დიდი ხნით არ მოწყდნენ თავიანთ სამოსამართლეო საქმიანობას, რათა ყოველთვის ჰქონდეთ კონტაქტი სასამართლო პრაქტიკასთან.

უფლებამოსილების ვადა, რაც გულისხმობს ექსკლუზიურად მართლმსაჯულების საბჭოში ყოფნას, უნდა იზღუდებოდეს რაოდენობასა და დროში.¹¹.

35. საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაცია, რომ მართლმსაჯულების საბჭოს ყველა წევრის შეცვლა არ მოხდეს ერთდროულად, საბჭოს მუშაობის უწყვეტობის თვალსაზრისით.

III. ე. წევრთა სტატუსი

36. მართლმსაჯულების საბჭოს (მოსამართლე და არამოსამართლე) წევრებს უნდა მიენიჭოთ გარანტიები მათი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისათვის. მართლმსაჯულების საბჭოს წევრთა ანაზღაურება უნდა შეესაბამებოდეს საბჭოში მათ თანამდებობასა და სამუშაო დატვირთვას.

<p>IV. რესურსები (დაფინანსების, კადრების, ტექნიკური გამოცდილების უზრუნველსაყოფად) და მართლმსაჯულების საბჭოს ლეგიტიმური გადაწყვეტილებები</p>
--

IV. ა. ბიუჯეტი და კადრები

37. საკონსულტაციო საბჭო ხაზს უსვამს მართლმსაჯულების საბჭოს სათანადო ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად მისი დაფინანსების მნიშვნელობას. მართლმსაჯულების საბჭოს უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი და ავტონომიური მოქმედების ადექვატური საშუალებები, და საკუთარ ბიუჯეტზე მოლაპარაკებისა და ბიუჯეტის შედგენის ეფექტური უფლებამოსილება და შესაძლებლობა.
38. მართლმსაჯულების საბჭოს უნდა ჰქონდეს თავისი შენობა, სამდივნო, კომპიუტერული აპარატურა, და შეეძლოს თვითონ მოაწყოს საკუთარი ორგანიზაციული სტრუქტურა, და საკუთარი საქმიანობებისთვის არ იყოს ანგარიშვალდებული პოლიტიკური ან სხვა ორგანოს წინაშე. იგი თვითონ უნდა ნიშნავდეს სხდომებს და ადგენდეს დღის წესრიგს, ასევე ჰქონდეს სასამართლოებთან პირდაპირი კავშირის უფლება, თავისი ფუნქციების შესრულების მიზნით. მართლმსაჯულების საბჭოს უნდა ჰყავდეს საჭირო რაოდენობის კადრი, ხოლო საბჭოს თითოეულ წევრს ჰყავდეს იმდენი თანამშრომელი, რამდენიც საჭიროა მისთვის დავალებული ფუნქციების შესასრულებლად.

IV. ბ. მართლმსაჯულების საბჭოს გადაწყვეტილებები

39. მართლმსაჯულების საბჭოს მიერ მიღებული ზოგიერთი გადაწყვეტილება, სასამართლო სისტემის მმართვეასა და ადმინისტრირებასთან დაკავშირებით, ასევე მოსამართლეთა დანიშვნას, მობილობას, დაწინაურებას, დისციპლინასა და თანამდებობიდან განთავისუფლებასთან დაკავშირებით (თუ მას მინიჭებული აქვს ჩამოთლილთაგან რომელიმე უფლებამოსილება), უნდა შეიცავდეს მოტივირებულ ახსნა-განმარტებას, ჰქონდეს სავალდებულო ძალა, ექვემდებარებოდეს სავარაუდო სასამართლო კონტროლს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მართლმსაჯულების საბჭოს დამოუკიდებლობა არ ნიშნავს,

¹¹ იხ. სასწავლო საქმიანობებში მონაწილე მოსამართლეთა მიმართ, CCJE-ის , No.4 (2003) დასკვნის 21-ე პუნქტი.

რომ იგი არ ექცევა კანონის ფარგლებში და არ ექვემდებარება სასამართლო ზედამხედველობას.

IV.გ. ტექნიკური გამოცდილება

40. მართლმსაჯულების საბჭოს შეუძლია კონკრეტულ საკითხებზე კონსულტაციისთვის მიმართოს სხვა ექსპერტებს. რასაკვირველია, ასეთი ექსპერტები არ უნდა იყვნენ საბჭოს წევრები და არ მონაწილეობდნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

V. ფართო უფლებამოსილებები დამოუკიდებელი და ეფექტური მართლმსაჯულების უზრუნველსაყოფად

41. ზოგადად, მართლმსაჯულების საბჭო უნდა ასრულებდეს მნიშვნელოვან როლს ურთიერთდამოკიდებულ კომპეტენციებთან დაკავშირებით, რათა უკეთ იქნას დაცული და უზრუნველყოფილი სასამართლოს დამოუკიდებლობა და მართლმსაჯულების ეფექტურობა.

42. საკონსულტაციო საბჭოს რჩევაა, მართლმსაჯულების საბჭომ უზრუნველყოს ქვემოთ ჩამოთვლილი ფუნქციების დამოუკიდებლად განხორციელება, რომლებსაც, სასურველია მართლმსაჯულების საბჭო ასრულებდეს თვითონ ან, სხვა ორგანოებთან:

- მოსამართლეთა შერჩევა და დანიშვნა (იხ. პუნქტი V.ა);
- მოსამართლეთა დაწინაურება (იხ. პუნქტი V.ა);
- მოსამართლეთა ატესტაცია (იხ. პუნქტი V.ბ);
- დისციპლინისა და ეთიკის საკითხები (იხ. პუნქტი V.გ);
- მოსამართლეთა სწავლება (იხ. პუნქტი V.დ);
- ავტონომიური ბიუჯეტის კონტროლი და მართვა (იხ. პუნქტი V.ე);
- სასამართლოთა ადმინისტრირება და მართვა (იხ. პუნქტი V.ვ);
- მოსამართლეთა რეპუტაციის დაცვა (იხ. პუნქტი V.ზ);
- სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოებისათვის კონსულტაციების გაწევის შესაძლებლობა (იხ. პუნქტი V.თ);
- ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო დონეზე შესაბამის კომპეტენტურ სამსახურებთან თანამშრომლობა (იხ. პუნქტი V.ი).
- პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე: გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება, ანგარიშგება (იხ. VI პუნქტი).

43. ყველამ უნდა იცოდეს და მხედველობაში მიიღოს ის ფაქტი, რომ შესაძლებელია მართლმსაჯულების საბჭოს სხვადასხვა ფუნქციებს შორის შეიქმნას კოლიზია. ასე, მაგალითად მოსამართლეთა დანიშვნა და სწავლება, ან სწავლება და დისციპლინარული საკითხები, ან სწავლება და შეფასება. ასეთი კოლიზიის თავიდან აცილების ერთ-ერთი გზაა მართლმსაჯულების საბჭოს საქმიანობების განაწილება საბჭოს სხვადასხვა შტოებს შორის¹².

¹² იხ. ასევე CCJE-ის No.4 (2003) დასკვნა.

44. საკონსულტაციო საბჭო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მართლმსაჯულების საბჭოს სხვადასხვა საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მართლმსაჯულების საბჭოს კონსტიტუციურ როლთან და, აქედან გამომდინარე, აღნიშნული ფუნქციები უნდა გაიწეროს კონსტიტუციაში, ძირითად კანონსა ან კონსტიტუციურ ინსტრუმენტში. საბჭოს მოვალეობების საუკეთესოდ შესრულების უზრუნველსაყოფად, აუცილებელია შესაძლო გარე და შიდა ზეწოლასთან დაკავშირებული პრობლემების (მაგ. საკანონმდებლო/აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა) პრევენცია. ამისათვის კი უნდა განისაზღვროს ყოველი საქმიანობის ტიპი და მათი შესრულების მეთოდები.
45. ამასთანავე, მჭიდრო კავშირი უნდა არსებობდეს მართლმსაჯულების საბჭოს შემადგენლობასა და მის კომპეტენციებს შორის. კერძოდ, შემადგენლობა უნდა გამომდინარეობდეს მართლმსაჯულების საბჭოს ფუნქციებიდან. მართლმსაჯულების საბჭოს ზოგიერთმა ფუნქციამ შესაძლებელია მოითხოვოს, მაგალითად, იურიდიული პროფესიების, სამართლის პროფესორების ან თუნდაც სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობა.
46. მართლმსაჯულების საბჭოებს შორის შესაძლებელია იყოს ტრადიციული ფუნქციების მქონე საბჭოები (მაგ. ე.წ. "სამხრეთ ევროპული მოდელი", რომლის კომპეტენციაშიც შედის მოსამართლეების დანიშვნა და სასამართლო სისტემის შეფასება) და ახალი ფუნქციების მქონე საბჭოები (ე.წ. "ჩრდილოეთ ევროპული მოდელი", რომლის კომპეტენციაში შედის მმართველობითი და საბიუჯეტო საკითხები). საკონსულტაციო საბჭო მიესალმება მართლმსაჯულების საბჭოსთვის ორივე, როგორც ტრადიციული ისე ახალი ფუნქციების მინიჭებას.
47. გარდა ამისა, მართლმსაჯულების საბჭოს კომპეტენციები შესაძლებელია სხვა მსგავსი ორგანოების ფუნქციებთანაც იყოს დაკავშირებული, როგორცაა პროკურორთა საბჭო ან, ზოგიერთ ქვეყანაში, ცალკე საბჭოები ადმინისტრაციული მოსამართლეთათვის. სწორედ მართლმსაჯულების საბჭოს ერთ-ერთი მოვალეობაა ამ სხვადასხვა ორგანოებს შორის ურთიერთობების წარმართვა, და ასევე ევროპულ და საერთაშორისო დონეზე კონტაქტების დამყარება / თანამშრომლობა.

V. ა. მოსამართლეთა შერჩევა, დანიშვნა და დაწინაურება

48. სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეთა დანიშვნა და დაწინაურება მოხდეს დამოუკიდებლად და არა საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების, არამედ, სასურველია, მართლმსაჯულების საბჭოს მიერ¹³.
49. მართალია საყოველთაოდ მიღებულია, რომ დანიშვნა ან დაწინაურება შესაძლებელია განხორციელდეს სახელმწიფოს მეთაურის ოფიციალური აქტის საფუძველზე, მაგრამ, საზოგადოებისთვის მოსამართლის მნიშვნელობის გათვალისწინებით და მათი ფუნქციის ფუნდამენტური ხასიათის ხაზგასასმელად, სახელმწიფოს მეთაურები ვალდებული უნდა

¹³ იხ. ასევე CCJE-ის No.1(2001) დასკვნა..

იყვნენ გაითვალისწინონ მართლმსაჯულების საბჭოს მიერ წარდგენილი კანდიდატურა. არ შეიძლება აღმასრულებელმა ამ ორგანოს მიმართონ მხოლოდ საკონსულტაციოდ წინასწარ შეთანხმებულ კანდიდატურასთან დაკავშირებით, ვინაიდან სწორედ იმ ფაქტმა, რომ კანდიდატურა პოლიტიკურ ორგანოს მიერ არის წარდგენილი, შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მოსამართლის დამოუკიდებლობის რეპუტაციაზე, წარდგენილი კანდიდატის პიროვნული თვისებების მიუხედავად.

50. მართალია, მნიშვნელოვანია ასეთი დანიშვნისა და დაწინაურების სისტემის არსებობა, მაგრამ არ არის საკმარისი. კანდიდატთა შერჩევის პროცესში სრული გამჭვირვალობაა საჭირო, რათა მოსამართლეებიც და საზოგადოებაც დარწმუნდეს, რომ დანიშვნა ექსკლუზიურად კანდიდატის დამსახურების გათვალისწინებით და კვალიფიკაციების, უნარების, კეთილსინდისიერების, დამოუკიდებლობის შეგრძნების, მიუკერძოებლობისა და ეფექტურობის საფუძველზე მოხდა. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში არსებული პრაქტიკის შესაბამისად, თითოეულმა მართლმსაჯულების საბჭომ დანიშვნისა და შერჩევის კრიტერიუმები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს. მართლმსაჯულების საბჭომ ისიც უნდა უზრუნველყოს, რომ სასამართლოს ადმინისტრირებისა და, კერძოდ, მოსამართლეთა სწავლების პროცესში თავისი როლის შესრულებისას, დამსახურების საფუძველზე მოსამართლეთა დანიშვნისა და დაწინაურების პროცედურები ღია გახადოს კანდიდატებისთვის, რომლებიც მაქსიმალურად წარმოადგენენ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფს.
51. ამასთანავე, რაც შეეხება უფრო მაღალი რანგის, განსაკუთრებით სასამართლოს თავმჯდომარის, თანამდებობებს, მართლმსაჯულების საბჭომ ოფიციალურად უნდა გამოაქვეყნოს ის ზოგადი პროფილები, რომლებშიც აღწერილია აღნიშნული თანამდებობების სპეციფიკა და ის თვისებები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდნენ კანდიდატები, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება მოსამართლის დამნიშნავი ორგანოს მიერ გაკეთებულ არჩევანზე. ეს არჩევანი მთლიანად უნდა ეფუძნებოდეს კანდიდატის ღირსებებს და არა სუბიექტურ მიზეზებს, როგორცაა პირადი, პოლიტიკური ან პროფესიული გაერთიანების/ პროფკავშირული ინტერესები.

V. ბ. მოსამართლეთა პროფესიული შეფასება / ატესტაცია

52. მოსამართლეთა პროფესიულ შეფასებას ორმაგი დატვირთვა აქვს: ერთი, სასამართლო სისტემის ხარისხის შეფასება და, მეორე, მოსამართლეთა პროფესიული უნარ-შესაძლებლობა.
53. სასამართლო სისტემის ხარისხის შეფასების საკითხი განხილულია საკონსულტაციო საბჭოს მე-6 დასკვნაში¹⁴. ხოლო, რაც შეეხება წინამდებარე დასკვნას, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ წევრ სახელმწიფოში მართლმსაჯულების საბჭოს ეკავოს მნიშვნელოვანი როლი სასამართლო სისტემის ხარისხის კრიტერიუმებისა და

¹⁴ CCJE-ის No.6(2004) დასკვნიდან ჩანს, რომ ეს საკითხი არ უნდა გავაიგივოთ მოსამართლეთა პროფესიული უნარ-ჩვევების აღიარებასთან და მხედველობაში მიღებული უნდა იქნას სამოსამართლო საქმიანობის სპეციფიკა, რათა არ მოხდეს მისი ასიმილაცია ჩვეულებრივ საჯარო სამსახურთან.

სტანდარტების დადგენაში ერთის მრივ და მეორეს მხრივ, სხვადასხვა იურისდიქციების მიერ მიწოდებული ხარისხობრივი მონაცემების იმპლემენტაციასა და მონიტორინგში.

54. მართლმსაჯულების ხარისხი, რასაკვირველია, შესაძლებელია შეფასდეს ობიექტური მონაცემებით, როგორცაა მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის პირობები და ის, თუ როგორ იღებენ მოქალაქეებს სასამართლოებში, რამდენად მარტივად ხორციელდება არსებული პროცედურები და რა ვადებში ხდება საქმეების განხილვა და გადაწყვეტილებების აღსრულება. თუმცა, მასში ასევე იგულისხმება მიღებული გადაწყვეტილებების ღირებულების უფრო სუბიექტური შეფასება და ის, თუ როგორია ფართო საზოგადოების შეხედულება ამ გადაწყვეტილებებისადმი. მხედველობაში გასათვალისწინებელია უფრო პოლიტიკური ხასიათის ინფორმაციაც, როგორცაა სახელმწიფო ბიუჯეტიდან სასამართლო ხელისუფლებისთვის გამოყოფილი თანხები და ხელისუფლების სხვა შტოების შეხედულება სასამართლოს დამოუკიდებლობის მიმართ. ეს ყველაფერი ამართლებს მართლმსაჯულების საბჭოების აქტიურ მონაწილეობას სასამართლო სისტემის ხარისხის შეფასებასა და მოსამართლეთა მუშაობის ეფექტურობის უზრუნველყოფი მეთოდების დანერგვაში.
55. ზოგიერთ შემთხვევაში, მოსამართლეთა პროფესიული შეფასების საკითხი დამოკიდებულია იმაზე, მოსამართლე სამსახურში მიიღება თავისი კარიერის დასაწყისში მანამდე პროფესიული გამოცდილების არმქონე სხვა კანდიდატებს შორის, თუ მრავალწლიანი იურიდიული პრაქტიკის შემდეგ ყველაზე გამოცდილ და დამსახურებულ პრაქტიკოსებს შორის. პირველ შემთხვევაში, კანდიდატის პროფესიული თვისებები უნდა შეფასდეს მანამდე გამოუვლენელი შესაძლებლობების დასადგენად, ხოლო ასეთი შეფასება მეორე შემთხვევაშიც სასარგებლოა, თუ გავითვალისწინებთ სასამართლოს როლს და სამართლებრივი პრაქტიკისა და მასთან დაკავშირებული კომპეტენციების მუდმივ განვითარებას.
56. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შეფასება უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ მოსამართლეთა სამართლებრივი ექსპერტიზისა და ზოგადი პროფესიული შესაძლებლობების გამოცდას, არამედ ასევე უფრო პირადული ინფორმაციის შემოწმებასაც, როგორცაა პიროვნული თვისებები და მათი საკომუნიკაციო უნარ-ჩვევები. თუ სასამართლო ფუნქციების შესასრულებლად წინაპირობად დადგენილია სერიოზული ტექნიკური და პიროვნული თვისებები, მაშინ სასურველია, ევროპულ დონეზე მოხდეს ერთიანი შეთანხმება. ამასთან დაკავშირებით, მართლმსაჯულების საბჭომ ფუნდამენტური როლი უნდა შეასრულოს ზოგადი შეფასებითი კრიტერიუმების განსაზღვრაში. **თუმცა, მართლმსაჯულების საბჭომ არ უნდა ჩაანაცვლოს რომელიმე კომპეტენტური სასამართლო ორგანო, რომელსაც ევალება მოსამართლეთა ინდივიდუალური შეფასება.**

V. გ. მოსამართლეთა ეთიკა და დისციპლინა

V. გ. 1. ეთიკა

57. ეთიკისა და დისციპლინის საკითხების განხილვისას, თავის No.3(2002) დასკვნაში საკონსულტაციო საბჭომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ორი თემა ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს.
58. დისციპლინასა და პროფესიულ ეთიკას შორის დიფერენცირებისათვის საჭიროა მოსამართლეებს მივაწოდოთ პროფესიული ეთიკის პრინციპების მთელი კრებული, რაც უნდა ჩაითვალოს სამუშაო ინსტრუმენტად მოსამართლეო სწავლებასა და ყოველდღიურ პრაქტიკაში. დისციპლინარული ორგანოს მიერ დისციპლინარულ საქმეებთან დაკავშირებული პრეცედენტული სამართლის პროპაგანდა ხელს უწყობს მოსამართლეთათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას; აღნიშნული მოსამართლეებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ მათ პრაქტიკულ საქმიანობებთან დაკავშირებულ დისკუსიებში და შექმნან ერთგვარი "სამეცნიერო ცენტრი" ასეთი დისკუსიებისთვის. თუმცა, თავისთავად ეს ყველაფერი არ არის საკმარისი, ვინაიდან დისციპლინარული გადაწყვეტილებები არ მოიცავს პროფესიული ეთიკის მარეგულირებელი წესების მთელ სპექტრს, და არც მოწინავე პრაქტიკის სახელმძღვანელოდ გამოდგება მოსამართლეებისათვის.
59. პროფესიული ეთიკის წესები უნდა შეიკრას ზემოთ აღნიშნული მოწინავე პრაქტიკების სინთეზურ კრებულას, მაგალითებითა და კომენტარებით; მას არ უნდა ჰქონდეს კოდექსის სახე, რომლის მოუქნელი და თითქოსდა ყოველმხრივ ამომწურავი ხასიათი კრიტიკის საგანს წარმოადგენს. ასეთი მოწინავე პრაქტიკების სახელმძღვანელო თვითონ მოსამართლეთა ნაშრომი უნდა იყოს, ვინაიდან არასწორი იქნება მესამე მხარეების და, განსაკუთრებით, ხელისუფლების სხვა შტოების მხრიდან მათთვის რაიმე პრინციპის დაწესება.
60. პროფესიულ ეთიკასა და დისციპლინას შორის დიფერენცირების საკონსულტაციო საბჭოს მიერ შემოთავაზებული მეთოდის მიხედვით, პრინციპების კრებული უნდა შეიმუშაოს მოსამართლეთა დისციპლინაზე პასუხისმგებელი ორგანოს გარდა სხვა ორგანომ. მოსამართლეთა ეთიკის საკითხებზე კომპეტენტური ორგანოს განსაზღვრის რამდენიმე გზა არსებობს:
- (i) ეს საქმე დაევალოს მართლმსაჯულების საბჭოს, თუ ამ საბჭოს ფუნქციებში არ შედის დისციპლინის საკითხები ან მის სტრუქტურაში შედის ცალკე შემადგენლობის მქონე სპეციალური დისციპლინარული ორგანო (იხ. ქვ. პუნქტი 64);
 - (ii) ან მართლმსაჯულების საბჭოსთან ერთად შეიქმნას ეთიკის კომიტეტი, რომლის ერთადერთი ფუნქცია იქნება პროფესიული ეთიკის წესების შემუშავება და მათ შესრულებაზე მონიტორინგი. მეორე არჩევანის შემთხვევაში შესაძლებელია შეიქმნას პრობლემები კომიტეტის წევრთა შერჩევის კრიტერიუმებთან დაკავშირებით და ასეთ კომიტეტსა და მართლმსაჯულების საბჭოს შორის კონფლიქტის ან უთანხმოების რისკი.

გარდა ამისა, ეთიკის ორგანო, როგორც ამას საკონსულტაციო საბჭო თავის მე-3 დასკვნაში გვთავაზობს, მოსამართლეებს კონსულტაციას გაუწევს პროფესიული ეთიკის იმ საკითხებზე, რომლებიც მათ წინაშე შეიძლება დადგეს თავიანთი კარიერის მანძილზე.

61. ამასთანავე, საკონსულტაციო საბჭო თვლის, რომ გამართლებულია არასასამართლო სფეროს წარმომადგენელი პირების (იურისტები, პროფესორები, საზოგადოების წევრები, ხელისუფლების სხვა ორგანოები) ჩართვა ეთიკის პრინციპების შემუშავების პროცესში, რათა არ შექმნას თვითინტერესის და თვითდაცვის არსებობის შესახებ შეხედულება და, ამავე დროს, მოსამართლეებსაც მიეცეთ საშუალება თვითონ განსაზღვრონ თავიანთი პროფესიული ეთიკის წესები.

V. გ. 2. დისციპლინა

62. მოსამართლის პასუხისმგებლობის საკითხს ეხება საკონსულტაციო საბჭოს No.3(2002) დასკვნა. ზოგიერთი სახელმწიფოს თანამედროვე გამოცდილებამ აჩვენა, რომ აუცილებელია მოსამართლეთა დაცვა წმინდად სასამართლო საკითხებთან მიმართებაში თავიანთი პასუხისმგებლობის ფარგლების გაფართოების ცდუნებისგან. მართლმსაჯულების საბჭოს როლია იმის დემონსტრირება, რომ მოსამართლე ვერ აიღებს იგივე პასუხისმგებლობებს, როგორც სხვა პროფესიის წარმომადგენლებს ეკისრებათ: იგი ასრულებს საზოგადოებრივ ფუნქციას და ვერ იტყვის უარს დავების გადაწყვეტაზე. გარდა ამისა, თუ მოსამართლეს სამართლებრივი და დისციპლინარული სასჯელი დაეკისრება მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისთვის, ვერც სასამართლოს დამოუკიდებლობა და ვერც ხელისუფლების შტოებს შორის დემოკრატიული ბალანსი იქნება უზრუნველყოფილი. მაშასადამე, მართლმსაჯულების საბჭომ ცალსახად უნდა დაგმოს ნებისმიერი პოლიტიკური იდეა, რომლის განზრახვაა მოსამართლეთა გადაწყვეტილების მიღების თავისუფლების შეზღუდვა. ხოლო, აღნიშნული არ ასუსტებს მოსამართლეთა მოვალეობას, დაიცვან კანონი.

63. მოსამართლე, რომელიც სიზარმაცის გამო სათანადო ყურადღებას არ უთმობს თავის საქმეებს ან აშკარად არაკომპეტენტურია მათ განხილვაში, უნდა დაექვემდებაროს დისციპლინარულ სასჯელს. ასეთ შემთხვევებშიც კი, საკონსულტაციო საბჭოს No.3(2002) დასკვნის მიხედვით, მნიშვნელოვანია, რომ მოსამართლეების დისციპლინარული გასამართლება მოხდეს სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის შესაბამისად და პოლიტიკური ზეგავლენისგან თავისუფალი ორგანოს მიერ, ნათლად განსაზღვრული დისციპლინარული გადაცდომების მოტივით: დისციპლინარულ ორგანოში არ შეიძლება მონაწილეობდეს სახელმწიფოს მეთაური, იუსტიციის მინისტრი ან სხვა პოლიტიკური ორგანოების ნებისმიერი სხვა წარმომადგენელი.

64. მართლმსაჯულების საბჭოს ევალება ეთიკური საკითხები; მას სასამართლოს მომხმარებელთა საჩივრების განხილვაც შეუძლია. ინტერესტთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, პირველ ინსტანციაში დისციპლინარული საქმისწარმოება, თუ მას არ იხილავს დისციპლინარული სასამართლოს იურისდიქცია, სასურველია წარმართოს ისეთმა დისციპლინარულმა კომისიამ, რომლის შემადგენლობაშიც უმრავლესობას წარმოადგენენ¹⁵ თავიანთი კოლეგების მიერ არჩეული მოსამართლეები, არა მართლმსაჯულების საბჭოს წევრები, და ითვალისწინებდეს საქმის უზენაეს სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობას.

¹⁵ იხ. CCJE -ის N° 3 (2003) დასკვნის 71-ე პუნქტი .

V.დ. მოსამართლეთა სწავლება¹⁶

65. ყველა ქვეყანაში მოსამართლეთა სწავლების ორგანიზება და მასზე ზედამხედველობა უნდა ევალებოდეს არა იუსტიციის სამინისტროს ან სხვა ისეთ ორგანოს, რომელიც ანგარიშვალდებულია საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე, არამედ თვითონ სასამართლო ხელისუფლებას ან, უმჯობესია, მართლმსაჯულების საბჭოს; მოსამართლეთა გაერთიანებებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ ამ მიმართულებით. ხოლო, სასწავლო პროგრამების შემუშავება და მათი დანერგვა უნდა დაევალოს სასამართლო ხელისუფლების ან, უმჯობესია მართლმსაჯულების მმართველობაში შემავალ სპეციალურ ავტონომიურ ორგანოს (მაგ. სასწავლო აკადემია) რომელსაც თავისი ბიუჯეტი აქვს და თავის მუშაობას წარმართავს მოსამართლეებთან კონსულტაციების მეშვეობით. მართლმსაჯულების საბჭოსა და სასწავლო აკადემიას (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შორის უნდა მოხდეს ფუნქციების ნათლად განაწილება.
66. საკონსულტაციო საბჭოს აზრით, თუ მართლმსაჯულების საბჭოს პრეროგატივაა სწავლება, დანიშვნა ან დაწინაურება, მაშინ აღნიშნულ საკითხებზე პასუხისმგებელ მის სტრუქტურულ ერთეულებს შორის უნდა მოხდეს ფუნქციათა ნათლად გამიჯვნა და თავიდან უნდა იქნას აცილებული კავშირი იუსტიციის სამინისტროსთან (ტრენინგთა დანიშვნა, ბიუჯეტის გამოყოფა და სხვ.) ან განათლების სამინისტროსთან (აკრედიტაცია, დიპლომების აღიარება და სხვ.).
67. მართლმსაჯულების საბჭომ უნდა ითანამშრომლოს სასწავლო დაწესებულებასთან როგორც მოსამზადებელი კურსების, ისე სამუშაო ადგილზე მიმდინარე ტრენინგების პროცესში, რათა უზრუნველყოს: ეფექტური და მაღალი ხარისხის ტრენინგების ჩატარება; მოსამართლეთა შერჩევა ობიექტური და გაზომვადი კრიტერიუმების საფუძველზე; ისეთი სისტემა, რომლის მეშვეობით მოსამართლეთა შერჩევა ეფუძნება მათ დამსახურებას; და სწორი ტრენინგი.

V. დ. 1. მოსამზადებელი კურსი

68. იმისათვის, რომ მოსამართლეობის კანდიდატებმა ხარისხიანი ტრენინგები გაიარონ, საკონსულტაციო საბჭოს რჩევაა, რომ მართლმსაჯულების საბჭომ პირდაპირ ან სხვაგვარად ითანამშრომლონ სასწავლო დაწესებულებებთან მოსამზადებელი კურსების პროგრამის შემუშავებასა და დახვეწაში. აღნიშნულის მეშვეობით კანდიდატები არა მხოლოდ ეროვნული და საერთაშორისო მატერიალური და საპროცესო კანონმდებლობისა და პრაქტიკის ცოდნას განვიითარებენ და გაიღრმავებენ, არამედ ასევე შეიძენენ დამატებით უნარ-ჩვევებს, როგორცაა უცხოური ენების ცოდნა, ეთიკა, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული გზები, იმისათვის, რომ საზოგადოების სამსახურში იყვნენ ისეთი მოსამართლეები, რომლებსაც შეუძლიათ კანონის სწორად გამოყენება, აქვთ

¹⁶ მოსამართლეთა პროფესიული კომპეტენტურობის ხელშეწყობისა და განვითარების მნიშვნელობის შესახებ აღნიშნულია გაეროსა და ევროსაბჭოს არაერთ დოკუმენტში. იხ. CCJE-ის No.4 (2003) დასკვნა და ლისაბონის ქსელის მოხსენება (11.10.2006) სამოსამართლეო სწავლების ცენტრების როლზე CCJE-ის No.4 (2003) დასკვნის კონკრეტულ იმპლემენტაციაში.

კრიტიკული და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი, სოციალური პასუხისმგებლობის შეგრძნება და ფართოდ აზროვნების უნარი.

69. ამასთანავე, მართლმსაჯულების საბჭომ უნდა განახორციელოს მოსამზადებელი კურსების დამოუკიდებელი (გარედან) შეფასება. ანუ, თვალს ადევნებს დანიშნის შემდგომ პირველ წლებში მოსამართლეთა ყოველდღიურ მუშაობაში მათ პროფესიულ განვითარებასა და წარმატებას და ამით შეაფასებს მოსამზადებელი კურსების ეფექტურობას და შეძლებს მათ გაუმჯობესება/დახვეწასთან დაკავშირებით რეკომენდაციების შეთავაზებას.

V. დ. 2. უწყვეტი სასწავლო პროცესი

70. მართლმსაჯულების საბჭომ უნდა წახალისოს მოსამართლეთა მონაწილეობა ყველანაირ სასწავლო საქმიანობებში, როგორც მათი პროფესიული საქმიანობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი. მოსამართლეთა სამართლებრივი და ეთიკური მოვალეობა და უფლებაა საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა, რომელიც ითვლება უწყვეტ სასწავლო პროცესად. თავიანთი მოვალეობების შესრულებისას მოსამართლეებმა თვალი უნდა ადევნონ ეროვნულ და საერთაშორისო კანონმდებლობასა და პრაქტიკაში განხორციელებულ ცვლილებებს¹⁷, სოციალურ ტენდენციებს და გაეცნონ დავების გადაწყვეტის ალტერნატიულ მეთოდებს. საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციაა, რომ მოსამართლის დაწინაურებაზე მსჯელობისას მხედველობაში მიღებულ იქნას მისი მონაწილეობა სასწავლო პროგრამებში.

71. მოსამართლეებისა და სასამართლოების მუშობის შესახებ შეფასებითი ანგარიშები და სტატისტიკა, რომელსაც მართლმსაჯულების საბჭო ყოველწლიურად ამზადებს, უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც უნდა წარმოადგენდეს ტრენინგების მთავარ თემას¹⁸. მაგალითად, საქმეთა მართვა, დროის მართვა, ბიუჯეტირება, მუშაობის ტექნოლოგიების გაუმჯობესება, საზოგადოებასთან ურთიერთობის უნარ-ჩვევები, კომუნიკაციის მეთოდები, სამართლებრივი კვლევა და სხვ.

72. ზოგადად, აუცილებელია მართლმსაჯულების საბჭოსთან კონსულტაციების გავლა ყოველწლიური სასწავლო პროგრამების თემების შერჩევის პროცესში; ასევე, მართლმსაჯულების საბჭომ მონიტორინგი უნდა გაუწიოს ამ პროგრამის განხორციელებასაც და შეაფასოს მისი ეფექტი სასამართლოს მუშაობის ხარისხზე.

V. ე. სასამართლო ხელისუფლების ბიუჯეტი

73. მართალია სასამართლოები ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მაგრამ ასეთი დაფინანსება არ უნდა გახდეს პოლიტიკური დესტაბილიზაციის საგანი. თანხების

¹⁷ იხ. CCJE -ის No.9 (2006) დასკვნა.

¹⁸ განსაკუთრებით, ზოგიერთ დავაში პროცედურების ხანგრძლივობასთან დაკავშირებული პრობლემა, - ყველაზე ხშირად დარღვევადი ადამიანის უფლება, დაგროვილი საქმეები, კანონდარღვევები, რომელიც ყველაზე ხშირად იწვევს სასამართლო გადაწყვეტილებების გაუქმებას და შეცვლას, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები, სამართლებრივი ვაკუუმი, რაც იწვევს კანონის სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას, პრეცედენტული სამართლის ჰარმონიზაციის აუცილებლობა, დისციპლინარული სამართალწარმოება და მისი შედეგები.

გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება უნდა მოხდეს სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპის მკაცრი დაცვით. თუ სასამართლოს ბიუჯეტს ამტკიცებს პარლამენტი, მაშინ ამ პროცედურაში სასამართლო ხელისუფლების მოსაზრებების გათვალისწინებაც უნდა მოხდეს¹⁹. თუ მართლმსაჯულების საბჭოს ფუნქციებში არ შედის სასამართლოთა ადმინისტრირება და მართვა, მაშინ მას, მინიმუმ, უნდა შეეძლოს თვისი პოზიციის დაფიქსირება მინიმალური ბიუჯეტის გამოყოფასთან დაკავშირებით, რომელიც აუცილებელია მართლმსაჯულების განსახორციელებლად და მისი საჭიროებების განსასაზღვრად, რითაც დასაბუთდება კონკრეტული ოდენობის თანხების საჭიროება.

74. საკონსულტაციო საბჭო თვლის, რომ სასამართლოების სათანადო დამოუკიდებლობა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ აქვთ ცალკე ბიუჯეტი და მის ადმინისტრირებას აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი ორგანო ახდენს, ეს იქნება მართლმსაჯულების საბჭო თუ სხვა დამოუკიდებელი სამსახური.
75. ზოგიერთ სახელმწიფოში ითვლება, რომ სწორედ იუსტიციის სამინისტროა ის ორგანო, რომელიც შეათანხმებს სასამართლოს ბიუჯეტს სხვა ორგანოებთან, კერძოდ კი ფინანსთა სამინისტროსთან. თუმცა, საკონსულტაციო საბჭო თვლის, რომ იმ ქვეყნების გამოცდილება, რომელთა სისტემებით სასამართლო ხელისუფლებას ფართო ფინანსური კომპეტენციები აქვს უნდა მინიჭებული, აუცილებლად უნდა გაიზიარონ იმ ქვეყნებმა, სადაც ასეთი პრაქტიკა ჯერ არ არსებობს. უნდა აღინიშნოს, რომ მართლმსაჯულების საბჭოსთვის ფართო ფინანსური უფლებამოსილებების მინიჭება გულისხმობს მის ანგარიშვალდებულებას არა მხოლოდ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, არამედ სასამართლოებისა და საზოგადოების მიმართაც.

V. ვ. სასამართლოს ადმინისტრირება და მართვა

76. სხვადასხვა სასამართლოებისათვის ბიუჯეტის დამტკიცების პირობების დადგენა და იმ ორგანოს განსაზღვრა, რომელმაც უნდა შეისწავლოს და ანგარიშგება გააკეთოს სასამართლოების ეფექტურობაზე, ძალზე დელიკატური საკითხებია. საკონსულტაციო საბჭოს აზრით, ეს საკითხი უნდა აიყოს მართლმსაჯულების საბჭოს პრეროგატივა.
77. მართლმსაჯულების საბჭოს პრეროგატივა არ უნდა იყოს ცალკეული მოსამართლეების შრომის მწარმოებლურობის შეფასება.
78. საკონსულტაციო საბჭოს პოზიციას, რომ მართლმსაჯულების საბჭოს შეუძლია პოზიტიური წვლილი შეიტანოს მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესებაში. ამასთან დაკავშირებით სტრატეგიის შემუშავების გარდა, აუცილებელია სასამართლოთა საკმარისი დაფინანსება, რათა მათ შეძლონ ამ მიმართულებით თავიანთი ვალდებულებების შესრულება. ზოგიერთ ქვეყანაში შექმნილია ისეთი სისტემები, რომელიც ახდენს მართლმსაჯულების ხარისხის შეფასებას და ანგარიშგებას; მნიშვნელოვანია ამგვარი ინიციატივების შედეგების შესწავლა. რაც შეეხება ხარისხის

¹⁹ იხ. ასევე CCJE -ის No.2 (2001) დასკვნა.

შეფასების სტრატეგიის შემუშავებას, მართლმსაჯულების საბჭო სასამართლოებისგან უნდა იღებდეს შესაბამის ინფორმაციასა და სტატისტიკურ მონაცემებს.

79. მართლმსაჯულების საბჭომ ზედამხედველობა უნდა გაუწიოს ინსპექტირების სამსახურის ორგანიზებას, ისე რომ ინსპექტირება მოხდეს სასამართლო დამოუკიდებლობის პრინციპის დაცვით. ეს განსაკუთრებით საყურადღებოა, როდესაც ინსპექტირების სამსახურები აღმასრულებელ ხელისუფლებას ექვემდებარება.

V.ზ. სასამართლო ხელისუფლების რეპუტაციის დაცვა

80. თავის No.7(2005) დასკვნაში, საკონსულტაციო საბჭო რეკომენდებს ისეთი პროგრამების შემუშავებას, ევროპული სასამართლოებისა და სახელმწიფოების მხარდაჭერით, რომელთა მიზანია მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით საზოგადოებისთვის ზოგადზე უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდება, და საზოგადოებაში მოსამართლის როლზე სწორი აზრის ჩამოყალიბებას. საკონსულტაციო საბჭოს აზრით, სწორედ სასამართლოები უნდა ითვლებოდნენ ისეთ სამსახურად, რომელიც ორგანიზებას გაუკეთებს პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავს სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების შეხედულებისა და ნდობის გაუმჯობესებას. ამის პარალელურად, სხვადასხვა ადგილობრივი ინიციატივების კოორდინირებაც, ისევე როგორც "საინფორმაციო კამპანიების" წარმოება ეროვნული მასშტაბით უნდა დაევალოს მართლმსაჯულების საბჭოს, რამაც, პროფესიონალების დახმარებით, შესაძლოა უფრო დახვეწილი ინფორმაციის მიწოდებას შეუწყოს ხელი.

81. იმავე No.7(2005) დასკვნაში, საკონსულტაციო საბჭომ აღნიშნა დამოუკიდებელი ორგანოს როლის შესახებ (რომელიც თავისუფლად შეიძლება დაევალოს თვითონ მართლმსაჯულების საბჭოს ან მის ერთ-ერთ კომიტეტს, თუ აუცილებელი მედიის პროფესიონალების მონაწილეობით) იმ პრობლემების მოგვარებაში, რომლებიც გამოწვეულია მას მედიის მიერ სასამართლო საქმეების გაშუქებით, ან იმ სირთულეების გადაჭრაში, რომლებიც ჟურნალისტებს თავიანთი საქმიანობის შესრულებისას ექმნებათ.

82. და ბოლოს, იმავე ზემოთ აღნიშნულ დასკვნაში, იმ საკითხზე მსჯელობისას, როგორცაა ბრალდებები ან კრიტიკა მოსამართლეებისა ან სასამართლოების მისამართით მას მედიის მხრიდან ან პოლიტიკური ან საზოგადოებრივი ფიგურების მხრიდან მას მედიის მეშვეობით, საკონსულტაციო საბჭომ ჩათვალა, რომ მართლმსაჯულების საბჭოს ან სასამართლო ორგანოს უნდა შეეძლოს და მზად იყოს შესაფერის შემთხვევებში. ოპერატიულად და ეფექტურად მოახდინოს რეაგირება ასეთ გამოწვევებსა და კრიტიკაზე.

83. მართლმსაჯულების საბჭოს არა მხოლოდ თავისი შეხედულებების საჯაროდ გამჟღავნების უფლებამოსილება ჰქონდეს, არამედ ასევე შეეძლოს საზოგადოების, პოლიტიკური ორგანოებისა, და თუ საჭიროა, სასამართლოების წინაშე გადადგას ყველა აუცილებელი ნაბიჯი სასამართლო ორგანოსა და/ან მისი წევრების რეპუტაციის დასაცავად.

84. მართლმსაჯულების საბჭო შეიძლება იყოს ის სათანადო ორგანო, რომელიც უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებდა მართლმსაჯულების რეპუტაციის ხელშეწყობასა

და დაცვის სფეროში, ვინაიდან ასეთი ფუნქციის შესრულება ხშირად მოითხოვს ბალანსის მიღწევას ერთის მხრივ ცალკეული პირების, სოციალური და პოლიტიკური მოთამაშეების და მედიის წინააღმდეგობრივ თავისუფლებასა და მეორეს მხრივ დამოუკიდებელ და ეფექტურად ფუნქციონირებად სასამართლო სისტემაში არსებულ საზოგადოებრივ ინტერესს შორის.

85. ამ კონტექსტში მართლმსაჯულების საბჭოს შეუძლია სასამართლოს მომხმარებელთა საჩივრების განხილვაც (იხ. ასევე ზემოთ პუნქტი 64).

86. საკონსულტაციო საბჭოს რეკომენდაციის თანახმად, მართლმსაჯულების საბჭოს თვითონ შეუძლია ასეთი ფუნქციის შესრულება, თუ ისარგებლებს აუცილებელი პროფესიონალური დახმარებით, ვინაიდან მისი პერსონალი არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ იურისტებით და მათ რიცხვში უნდა იყვნენ ჟურნალისტებიც, სოციალური მეცნიერები, სტატისტიკოსები და სხვ.

V.თ. სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოებისათვის კონსულტაციების გაწევის შესაძლებლობა

87. მოსამართლეთა სტატუსთან, მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებული აქტების პროექტები, საპროცესო კანონმდებლობის და, ზოგადად, ყველანაირი კანონმდებლობის პროექტები, რომელიც სავარაუდოდ გავლენას იქონიებენ სასამართლო ხელისუფლებაზე, მაგ. სასამართლოს დამოუკიდებლობაზე, ან შეზღუდავენ მართლმსაჯულებაზე მოქალაქეთა გარანტირებული ხელმისაწვდომობის უფლებას, პარლამენტში განსახილველად წარდგენამდე საჭიროებს მართლმსაჯულების საბჭოს დასკვნას. ეს საკონსულტაციო ფუნქცია უნდა აღიარებულ იქნას ყველა სახელმწიფოს მიერ და რეკომენდაციის სახით ოფიციალურად დამტკიცებული ევროსაბჭოს მიერ.

V.ი. საქმიანობები სხვა ეროვნულ, ევროპულ და საერთაშორისო ორგანოებთან თანამშრომლობის კონტექსტში

88. საკონსულტაციო საბჭო აღნიშნავს, რომ ზოგიერთ სახელმწიფოში მართლმსაჯულების საბჭოს მოვალეობები გადანაწილებულია სხვადასხვა სამსახურზე. სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სისტემის არსებობას კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი სფერო (მაგ. სწავლება) შესაძლებელია იყოს ერთი დაწესებულების პრეროგატივა, ხოლო სხვა სფეროებში კი კომპეტენციები განაწილებული იყოს. ამ ეტაპზე საკონსულტაციო საბჭო არ აფიქსირებს თავის პოზიციას სხვადასხვა სამსახურებს შორის ურთიერთობების ოპტიმალურ სქემასთან დაკავშირებით. მართალია, აღიარებს იმ ეროვნული სამართლებრივი ტრადიციების მნიშვნელობას, რომელთა საფუძველზეც იქმნებოდა ასეთი ორგანოები, საკონსულტაციო საბჭო მაინც საჭიროდ თვლის რეკომენდაცია გაუწიოს მართლმსაჯულების საბჭოს ლიდერობით თანამშრომლობის სისტემის შექმნას. თუ საბჭოს ფუნქციები გადანაწილებდა სხვადასხვა სამსახურზე, ასეთი თანამშრომლობა უზრუნველყოფილი იქნება ამ ფუნქციების უმტკივნეულო შესრულება. ეს პროცესი კი, სავარაუდოდ, ხელსაყრელი იქნება ინსტიტუციური განვითარებისთვისაც, ასეთი სამსახურების (მაგ. სწავლების სფეროში) პროგრესული გაერთიანების თვალსაზრისით. იგივე ეხება ადმინისტრაციული მართლმსაჯულების საბჭოებთან თანამშრომლობას.

პროკუროთა საბჭოებთან თანამშრომლობაც, თუ ასეთი ორგანოები ცალკე არსებობს, შესაძლოა აქტუალური იყოს.

89. საკონსულტაციო საბჭო ხაზს უსვამს ევროპულ და საერთაშორისო დონეებზე მართლმსაჯულების საბჭოებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობას, ყველა იმ სფეროში, რომლებშიც ეროვნულ დონეზე საბჭოები აქტიურად მოღვაწეობენ.
90. საკონსულტაციო საბჭო აღიარებს, რომ მართლმსაჯულების საბჭოების ევროპული გაერთიანების მოღვაწეობა (რომელიც, ზოგად თანამშრომლურ როლს ასრულებს მართლმსაჯულების საბჭოებს შორის) და ლისაბონის გაერთიანებისა და ევროპის სამოსამართლეო სასწავლო გაერთიანების საქმიანობები (რომლებიც კომპეტენტური არიან სამოსამართლეო სწავლების სფეროში) იმსახურებენ აღიარებას და მხარდაჭერას. აღნიშნული გაერთიანებები საკონსულტაციო საბჭოს ნაყოფიერი პარტნიორები არიან.

<p>VI. მართლმსაჯულების საბჭო მართლმსაჯულების ანგარიშვლადებულებისა და გამჭვირვალობის სამსახურში</p>

91. მართლმსაჯულების განხორციელებაში მართლმსაჯულების საბჭოს მნიშვნელოვანი მონაწილეობის თვალსაზრისით, აუცილებელია ამ საბჭოს მიერ განხორციელებული ქმედებების გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. გამჭვირვალობა არსებითი ფაქტორია იმ ნდობაში, რომელიც მოქალაქეებს აქვთ ქმედითი სასამართლო სისტემის მიმართ და გარანტირებულად იცავს პოლიტიკური ზეგავლენის საფრთხისგან ან თვითდავის, თვითდაცვის და ნეპოტიზმის არსებობის შესახებ აზრის ჩამოყალიბების რისკისგან.
92. მართლმსაჯულების საბჭოს ყველა გადაწყვეტილება მოსამართლეთა დანიშვნის, დაწინაურების, შეფასების, დისციპლინის თაობაზე და მოსამართლეთა კარიერასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს მოტივირებული (იხ. ასევე ზემოთ პუნქტი 39).
93. როგორც უკვე აღინიშნა, მოსამართლეთა დანიშვნასა და დაწინაურებაში გამჭვირვალობას უზრუნველყოფს დანიშვნის კრიტერიუმებისა და თანამდებობრივი აღწერილობების გამოქვეყნება და განსაჯაროება. ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს უნდა შეეძლოს გაეცნოს საბჭოს მიერ გაკეთებულ არჩევანს და გადაამოწმოს, ნამდვილად დამსახურების მიხედვით გამოიყენა თუ არა მართლმსაჯულების საბჭომ დადგენილი წესები და კრიტერიუმები დანიშვნებისა და დაწინაურებების დროს.
94. როდესაც მართლმსაჯულების საბჭო საბიუჯეტო უფლებამოსილებებით სარგებლობს, სწორედ რომ ლოგიკურია მისი ანგარიშვლადებულება ბიუჯეტის დამამტკიცებელი საპარლამენტო ასამბლეის წინაშე სადაო თანხების ხარჯვასთან დაკავშირებით. სასამართლო ხელისუფლებისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის ნაწილზე კონტროლს უნდა ახორციელებდეს აუდიტის სამსახური, რომელსაც ევალება სახელმწიფო თანხების ხარჯვაზე ზედამხედველობა, თუ ასეთი სამსახური არსებობს.
95. თუ მართლმსაჯულების საბჭო დისციპლინარული უფლებამოსილებებით არის აღჭურვილი, მოსამართლეები, რომელთა წინააღმდეგ აღძრულია დისციპლინარული

საქმისწარმოება, სრულად უნდა იყვნენ ინფორმირებული გადაწყვეტილების საფუძვლების თობაზე, რათა ჰქონდეთ იმის შეფასებისა და გააზრების შესაძლებლობა, გაასაჩივრონ თუ არა დისციპლინარული სასჯელის თაობაზე გადაწყვეტილება (იხ. ზემოთ პუნქტი 39). გარდა ამისა, მართლმსაჯულების საბჭოს შეუძლია გამოაქვეყნოს ფორმალური და საბოლოო გადაწყვეტილებები, რათა არა მხოლოდ მთლიანად სასამართლო ხელისუფლება, არამედ ფართო საზოგადოებაც გაეცნოს, თუ როგორ ჩატარდა საქმისწარმოება და დაინახოს, რომ სასამართლო ხელისუფლება არ ცდილობს თვისი წევრების ბრალეული ქმედებების დაფარვას.

96. პერიოდულად მართლმსაჯულების საბჭომ უნდა გამოაქვეყნოს ანგარიში მისი საქმიანობების შესახებ, რომლის მიზანია, ერთის მხრივ იმის აღწერა, თუ რა გააკეთა მართლმსაჯულების საბჭომ და რა სირთულების წინაშე იდგა იგი და მეორეს მხრივ წარმოადგინოს თავისი რეკომენდაციები იმასთან დაკავშირებით, თუ რა ღონისძიებები უნდა გატარდეს სასამართლო სისტემის უკეთესად ფუნქციონირებისთვის საზოგადოების ინტერესებში. აღნიშნული ანგარიშის გამოქვეყნებასთან ერთად შესაძლებელია გაიმართოს პრეს კონფერენციები ჟურნალისტებთან, ჩატარდეს შეხვედრები მოსამართლეებთან და სასამართლო ორგანოების პრესსპიკერებთან, ინფორმაციის გამოქვეყნებისა და სასამართლო ორგანოებთან ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით.

რეკომენდაციები და დასკვნები

თავის N10 (2007) დასკვნაში „მართლმსაჯულების საბჭო საზოგადოების სამსახურში“ ევროპელ მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭომ შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

A. ზოგადი დებულებები:

ა) მნიშვნელოვანია მართლმსაჯულების საბჭოს მსგავსი სპეციალური ორგანოს შექმნა, რომელსაც ევალება მოსამართლეთა დამოუკიდებლობის დაცვა, რაც წარმოადგენს მთავარ ელემენტს სამართლებრივ სახელმწიფოში და, აქედან გამომდინარე, ხელისუფლების განაწილების პრინციპის შესრულება.

ბ) მართლმსაჯულების საბჭო იცავს როგორც სასამართლო სისტემის, ისე ცალკეული მოსამართლეების დამოუკიდებლობას და, ამავე დროს, უზრუნველყოფს მართლმსაჯულების ეფექტურობასა და ხარისხს, რაც გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით, სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების ნდობის განსამტკიცებლად;

გ) მართლმსაჯულების საბჭო დაცული უნდა იქნას იმ რისკისგან, რომ მისი ავტონომია არ შეიზღუდოს საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ, კონსტიტუციაში ან ექვივალენტური ძალის მქონე აქტში ასეთის აღნიშვნის გზით.

B. მართლმსაჯულების საბჭოს შემადგენლობა:

ა) იმისათვის, რომ არ შეიქნას შეხედულება თვითინტერესის, თვიდაცვისა და ნეპოტიზმის არსებობის შესახებ და მოხდეს საზოგადოებაში არსებული აზრთა სხვადასხვაობის ასახვა, მართლმსაჯულების საბჭოს შემადგენლობა უნდა იყოს შერეული ტიპის, სადაც დიდ უმრავლესობას უნდა წარმოადგენდეს

მოსამართლეები, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი კონკრეტული საქმე მთლიანად მოსამართლეებისგან დაკომპლექტებულ პალატას უნდა გადაეცეს. ასევე, შესაძლებელია მართლმსაჯულების საბჭო ექსკლუზიურად მოსამართლეებისგან შედგებოდეს;

ბ) პოტენციური წევრები, იქნება ეს მოსამართლეები თუ არა, უნდა ინიშნებოდნენ თავიანთი კომპეტენტურობის, გამოცდილების, სასამართლო ცხოვრებისა და დამოუკიდებლობის კულტურის შესახებ ცოდნის საფუძველზე. ასევე, არ უნდა იყვნენ აქტიური პოლიტიკოსები ან აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების წევრები;

გ) მოსამართლე წევრებს უნდა ირჩევდნენ თავიანთი კოლეგები, პოლიტიკური ორგანოებისა ან სასამართლო სტრუქტურების ჩარევის გარეშე, ისეთი მეთოდების გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს სასამართლო სისტემის მაქსიმალურად ფართო წარმომადგენლობას; თუ შერჩევისთვის გამოიყენება პირდაპირი არჩევნები, მართლმსაჯულების საბჭომ უნდა გამოსცეს ისეთი წესები, რომელიც მიზნად ისახავს სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების ნდობის ხელშეწყობის ნებისმიერი საფრთხის მინიმუმამდე შემცირებას.

დ) არამოსამართლე წევრების დანიშვნა, მიუხედავად მათი იურიდიული გამოცდილებისა, უნდა ევალუბოდეს არაპოლიტიკურ ორგანოებს; ხოლო მათი პარლამენტის მიერ არჩევის შემთხვევაში, ისინი არ უნდა იყვნენ პარლამენტის წევრები, და მათ უნდა ირჩევდეს ისეთი კვალიფიციური უმრავლესობა, რომელსაც ოპოზიციის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა სჭირდება, და იყვნენ ისეთი პირები, რომლებსაც შეუძლიათ უზრუნველყონ მართლმსაჯულების საბჭოს მთლიან შემადგენლობაში სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლობა.

C. მართლმსაჯულების საბჭოს მუშაობა:

ა) წევრები შეიძლება მუშაობდნენ სრული შტატით (სრული სამუშაო განაკვეთით), მაგრამ რაოდენობასა და დროში შეზღუდული მანდატით, რათა იქონიონ კავშირი სასამართლო პრაქტიკასთან; წევრებს (მოსამართლე და არამოსამართლე) ენიჭებათ გარანტიები მათი დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობისთვის

ბ) მართლმსაჯულების საბჭოს აქვს საკუთარი ბიუჯეტი და ფინანსდება ოპტიმალური და დამოუკიდებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით;

გ) მართლმსაჯულების საბჭოს ზოგიერთი გადაწყვეტილება უნდა იყოს მოტივირებული (დასაბუთებული) და სავალდებულო ძალის მქონე, და შესაძლოა ექვემდებარებოდეს სასამართლოში გასაჩივრებას;

დ) სასამართლო სისტემისადმი საზოგადოების ნდობის კონტექსტში, მართლმსაჯულების საბჭო მოქმედებს გაჭირვალედ და ანგარიშვალდებულია თავისი საქმიანობებისათვის, კერძოდ, პერიოდული ანგარიშგების მეშვეობით, და სასამართლო სისტემის უკეთესი ფუნქციონირებისთვის საჭირო განსახორციელებელი ზომების რეკომენდებით.

D. მართლმსაჯულების საბჭოს უფლებამოსილებები:

ა) მართლმსაჯულების საბჭო უნდა ასრულებდეს საქმიანობათა ფართო სპექტრს, რომელთა მიზანია სასამართლო დამოუკიდებლობისა და მართლმსაჯულების ეფექტურობის დაცვა და ხელშეწყობა; მან ასევე უნდა უზრუნველყოს, რომ სხვადასხვა საქმიანობის შესრულების პროცესში მართლმსაჯულების საბჭოში არ წარმოიშვას რაიმე ინტერესთა კონფლიქტი;

ბ) სასურველია მართლმსაჯულების საბჭოს კომპეტენტურობა მოსამართლეთა შერჩევაში, დანიშვნასა და დაწინაურებაში; ამის განხორციელება უნდა მოხდეს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან სრულიად დამოუკიდებლად, და მოსამართლეთა შერჩევის კრიტერიუმებთან მიმართებაში აბსოლუტურად გამჭვირვალედ;

გ) მართლმსაჯულების საბჭო აქტიურად უნდა იყოს ჩართული მართლმსაჯულების ხარისხის შეფასებაში და მოსამართლეთა მუშაობის ეფექტურობის უზრუნველყოფი საშუალებების იმპლემენტაციაში, თუმცა არ უნდა შეასრულოს იმ კომპეტენტური სასამართლო ორგანოს როლი, რომელსაც ევალება მოსამართლეთა ინდივიდუალური შეფასება;

დ) შესაძლებელია მართლმსაჯულების საბჭოს დაევალოს ეთიკური საკითხები; მას ასევე შეუძლია იმ მოქალაქეთა საჩივრების განხილვა, რომლებიც სარგებლობენ სასამართლოთი;

ე) მართლმსაჯულების საბჭოს შესაძლებელია დაევალოს ტრენინგების ორგანიზება და მათზე ზედამხედველობა, თუმცა სასწავლო პროგრამების შემუშავება და იმპლემენტაცია სასწავლო ცენტრის მოვალეობაა, ვისთანაც მან უნდა ითანამშრომლოს მოსამზადებელი დონისა და სამუშაო ადგილზე მიმდინარე ტრენინგების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით;

ვ) მართლმსაჯულების საბჭოს შესაძლებელია მიენიჭოს ფართო ფინანსური უფლებამოსილებები სასამართლო სისტემისათვის გამოყოფილ ბიუჯეტზე მოლაპარაკებასა და ამ ბიუჯეტის მართვასთან მიმართებაში, ასევე სხვადასხვა სასამართლოების ადმინისტრირებასა და მართვასთან დაკავშირებით, მართლმსაჯულების უკეთესი ხარისხის უზრუნველსაყოფად;

ზ) მართლმსაჯულების საბჭო შესაძლებელია იყოს ის ორგანო, რომელიც შეასრულებს მნიშვნელოვან როლს მართლმსაჯულების რეპუტაციის ხელშეწყობასა და დაცვაში;

თ) პარლამენტში განხილვამდე, ყველა ის კანონ-პროექტი, რომელიც, სავარაუდოდ, ზეგავლენას იქონიებს მართლმსაჯულებაზე, მაგალითად, როგორცაა სასამართლოს დამოუკიდებლობა, ან რომელმაც შესაძლებელია ხელი შეუშალოს მოქალაქეთა გარანტირებულ უფლებას სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის თაობაზე, კონსულტაციისათვის უნდა გადაეცეს მართლმსაჯულების საბჭოს;

ი) ევროპულ და საერთაშორისო დონეებზე სხვა მართლმსაჯულების საბჭოებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა.